პროექტი

საქართველოს ორგანული კანონი

საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №75, 27.12.2010, მუხ. 461) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-14 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 14. სამუშაო დროის ხანგრძლივობა, დასვენების და შესვენების დროები

1. სამუშაო დრო არის კალენდარული დროის ნაწილი, რომლის განმავლობაშიც დასაქმებული იმყოფება დამსაქმებლის განკარგულებაში (მიუხედავად იმისა, იმყოფება თუ არა იგი სამუშაო ადგილზე) და ვალდებულია შეასრულოს შრომის ხელშეკრულებითა და ამ კანონით დადგენილი ვალდებულებები. სამუშაო დროში არ ითვლება დასვენების და შესვენების დროები.
2. დამსაქმებლის მიერ დასაქმებულისათვის განსაზღვრული სამუშაო დღეების რაოდენობა რომლის განმავლობაშიც დასაქმებული ასრულებს სამუშაოს არ შეიძლება აღემატებოდეს კვირაში 6 დღეს.
3. დამსაქმებლის მიერ განსაზღვრული სამუშაო დროის ხანგრძლივობა, რომლის განმავლობაშიც დასაქმებული ასრულებს სამუშაოს, არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 40 საათს, ხოლო სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის მქონე საწარმოში, სადაც წარმოების/შრომითი პროცესი და დასაქმებულის შესასრულებელი სამუშაო ითვალისწინებს 8 საათზე მეტი ხანგრძლივობის უწყვეტ რეჟიმს, რადგან დასაქმებულის ჩანაცვლება გამოიწვევს სამუშაოს უწყვეტობის დარღვევას– კვირაში 48 საათს. სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის დარგების ჩამონათვალს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.
4. თუ დამსაქმებლის საქმიანობა და დასაქმებულის მიერ შესასრულებელი სამუშაო ითვალისწინებს წარმოების/შრომითი პროცესის 24-საათიან უწყვეტ რეჟიმს, მხარეები უფლებამოსილი არიან, დადონ შრომითი ხელშეკრულება ცვლაში მუშაობის შესახებ, ამ მუხლის მე-5 პუნქტის პირობების გათვალისწინებით.

5. ყოველდღიური მუშაობის დასრულების შემდეგ დასაქმებულს უნდა მიეცეს უწყვეტი დასვენების პერიოდი, რომლის განმავლობაში დასაქმებული არ არის ვალდებული შეასრულოს სამუშაო და იყოს დამსაქმებლის განკარგულებაში. სამუშაო დღეებს (ცვლებს) შორის დასვენების ხანგრძლივობა უნდა იყოს სამუშაო დღის (ცვლის) ხანგრძლივობის თანაბარი, მაგრამ არანაკლები 12 საათისა. დასაქმებულს აქვს დასვენების თავისუფლად განკარგვის უფლება.

6. შესვენების დროის განმავლობაში დასაქმებული არ არის ვალდებული შეასრულოს სამუშაო, ან იმყოფებოდეს დამსაქმებლის განკარგულებაში. დასაქმებულს აქვს შესვენების დროის თავისუფლად განკარგვის უფლება.

7. დასაქმებულმა არ შეიძლება იმუშაოს შესვენების გარეშე, თუ მისი სამუშაო დღის ხანგრძლივობა 4 საათს აღემატება. თუ სამუშაო დროის ხანგრძლივობა 4 საათზე მეტსა და 9 საათზე ნაკლებ ხანს გრძელდება, შესვენების დრო უნდა იყოს წინასწარ წერილობით დადგენილი სულ მცირე 45 წუთი. ხოლო თუ სამუშაო დროს ხანგრძლივობა 9 საათს აღემატება, შესვენების დრო უნდა იყოს სულ მცირე 60 წუთი მაინც. ღამის სამუშაოზე დასაქმებულს, თუ მისი სამუშაო დროის ხანგრძლივობა აღემატება 4 საათს, დამატებით უნდა მიეცეს შესვენების 60 წუთი მაინც.

8. 16 წლიდან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვნის სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 36 საათს.

9. 14 წლიდან 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვნის სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 24 საათს.

2. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 14^1 მუხლი

მუხლი 14^1 სამუშაო დროის აღრიცხვა

1. დამსაქმებელი ვალდებულია ყოველდღიურად აღრიცხოს დასაქმებულთა ნამუშევარი დრო წერილობით ან/და ელექტრონული ფორმით.

2. დამსაქმებელი ვალდებულია ხელფასის გაცემასთან ერთად დასაქმებულს გადასცეს ნამუშევარი საათების აღრიცხვის ყოველთვიური დოკუმენტი.

3. იმ შემთხვევაში თუ დამსაქმებელი არ აღრიცხავს დასაქმებულის მიერ შესრულებულ სამუშაო საათებს სასამართლოში ნამუშევარი საათების შესახებ დავის ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი ეკისრება დამსაქმებელს.

3. მე-16 მუხლი ამოღებულ იქნეს.

4. მე-17 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 17. ზეგანაკვეთური სამუშაო

1. ზეგანაკვეთურ სამუშაოდ მიიჩნევა მხარეთა შეთანხმებით დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულება დროის იმ მონაკვეთში, რომლის ხანგრძლივობა სრულწლოვნისთვის აღემატება კვირაში 40 საათს, 16 წლიდან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვნისთვის – კვირაში 36 საათს, ხოლო 14 წლიდან 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვნისთვის – კვირაში 24 საათს.

2. დასაქმებულისთვის სამუშაო დროის ხანგრძლივობა ზეგანაკვეთური სამუშაოს ჩათვლით არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 60 საათს. 16 წლიდან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვნისთვის - 42, ხოლო 14 წლიდან 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვნისთვის - კვირაში 28 საათს.

3. არავის აქვს უფლება აიძულოს დასაქმებული შეასრულოს ზეგანაკვეთური სამუშაო. ზეგანკვეთური სამუშაოს შესრულება არის ნებაყოფლობითი გარდა ამავე მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი გამონაკლისებისა.

4. დასაქმებული ვალდებულია შეასრულოს ზეგანაკვეთური სამუშაო:

ა) სტიქიური უბედურებების თავიდან ასაცილებლად ან/და მისი შედეგების ლიკვიდაციისთვის - ანაზღაურეის გარეშე;

ბ) საწარმოო ავარიის თავიდან ასაცილებლად ან/და მისი შედეგების ლიკვიდაციისთვის - სათანადო ანაზღაურებით.

5. ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულებაზე მხარეები უშუალოდ ყოველი ასეთი სამუშაოს წინ მაქსიმუმ 1 კვირით ადრე უნდა შეთანხმდნენ წერილობით, გარდა ისეთი გამონაკლისი შემთხვევებისა, რომელიც ასეთ შეთანხმებას შეუძლებელს ხდის.

6. ზეგანაკვეთური სამუშაო ანაზღაურება განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით, თუმცა იგი უნდა იყოს არანაკლები ხელფასის საათობრივი განაკვეთის 50%-ით გაზრდილი ოდენობისა.

7. მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების სანაცვლოდ დასაქმებულისათვის დამატებითი დასვენების დროის მიცემაზე. დამატებებითი დასვენების დრო დასაქმებულს უნდა მიეცეს ზეგანაკვეთურ სამუშაოზე შეთანხმებიდან არაუგვიანეს 1 თვისა.

5. მე-18 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 18. ღამის სამუშაო

1. აკრძალულია ღამის სამუშაოზე (22 საათიდან 6 საათამდე) არასრულწლოვნის, ორსული, ახალნამშობიარები ან მეძუძური ქალის დასაქმება. თუ პირი 22 საათიდან 6 საათამდე დროის მონაკვეთში ორი საათით მაინც იმყოფება დასაქმებულის განკარგულებაში (მიუხედავად იმისა იმყოფება თუ არა სამუშაო ადგილზე) და ვალდებულია შეასრულოს ამ კანონითა და შრომის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები, იგი ითვლება ღამის სამუშაოზე დასაქმებულ პირად.
2.დასაქმებულს შეუძლია მოითხოვოს ღამის სამუშაოდან დღის სამუშაოზე გადაყვანა, იმ შემთხვევაში თუ:
ა) სამედიცინო დასკვნით ღამე მუშაობა დასაქმებულის ჯანმრთელობისთვის წარმოადგენს საშიშროებას.
ბ) დასაქმებულის მზრუნველობაშია ბავშვი 12 წლამდე და მას ოჯახში არ ჰყავს სხვა მზრუნველი დასაქმებულის გარდა.
გ) ღამე დასაქმებული არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი მეურვე ან მზრუნველი..
3. ღამის სამუშაოზე დასაქმებულს უფლება აქვს სამუშაოს დაწყებამდე და მის შემდეგ რეგულარული ინტერვალებით, სამ წელიწადში ერთხელ და არაუმეტეს ორისა ჩაიტაროს სამედიცინო შემოწმება ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.
4. ღამე დასაქმებულს, რომელიც 50 წელს გადაცილებულია, რეგულარული შემოწმების უფლება აქვს ყოველ წელიწადში ერთხელ.
5. ამ მუხლით გათვალისწინებული გამოკვლევების ხარჯებს თავის თავზე იღებს დამსაქმებელი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ღამე დასაქმებულებს თავად საწარმოს ექიმი ჩაუტარებს უფასო სამედიცინო შემოწმებას.
6. ღამის სამუშაოს ანაზღაურება განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით, თუმცა იგი უნდა იყოს იგივე დამსაქმებელთან იგივე პოზიციაზე დღის სამუშაოზე დასაქმებულის ხელფასის საათობრივი განაკვეთის 25%-ით გაზრდილი ოდენობისა.

6. მე-20 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ უქმე დღეებში დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულება მიიჩნევა ზეგანაკვეთურ სამუშაოდ და მისი ანაზღაურების პირობები განისაზღვრება ამ კანონის მე-17 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტებით დადგენილი წესით.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი